№ 84 30 აპრილი, კვირა 1866—1878 30 აპრილი, კვირა № 84

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaлговის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaлговის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შემოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

საჭიროთ ვრაცხთ ვაცნობეთ იმ ჩვენ ხელის-მომწერლებს, რომელთაც ოთხი თვით დაუბარებიათ გაზეთი, რომ იმათი ვადა ამ 1 მაისს თავდება და ამ რიცხვიდამ მოესპობა გაზეთის გზავნა ყველას, ვინც ხვედრ ფულს ახლავე, 1 მაისამდინ არ წარმოადგნს რედაქციაში.

ღეიდამ გაზეთის დაბარება ორის ვადით შეიძლება: ორი თვით, ე. ი. პირველ ივლისამდინ, ღირება—2 მანეთი, და რვა თვით, ე. ი. ამ წლის დამლევამდინ, ღირება—6 მან.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 29 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. გაზეთს „Новое Время"-ს გაუგონია შემდეგი ამბავი: რუსეთის ელჩი გრაფ შუვალოვი აღარ დაბრუნდება ინგლისში თავის თანამდებობაზედ; ის დაიჭერს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ადგილს, რადგან თ. ბორჩაკოვი სტოვებს ამ თანამდებობას. გრ. შუვალოვის მაგიერად კი ლონდონში რუსეთის ელჩად, როგორც ისმის, თ. ს. მ. ბორონცოვს ნიშნავენ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 29 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი.)

	მან.	კაპ.
ლონდონი—	23—75	„ „
ამსტერდამი—	120	„ „
ჰამბურგი—	— 202—50	„ „
პარიჟი —	— 248	„ „ „
შინაგანი სესხის ბილეთები 5%:		
პირველი სესხის	— — 230—50	
გეორგ სესხის	— — — 226—50	
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემის	— 97—12	
მეორესი	— — — — 95—12	
მესამესი	— — — — 95—25	
მეოთხესი	— — — — 94—92	
აღმოსავლეთის	— — 93—75	
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	8—30	

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** დღეს, კვირას, 11 საათზე თფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში იქნება კრება იმ საზოგადოების წევრთა, რომლის დანიშნულება არის, რომ თფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებს ხელი მოუმართონ პირველ-დაწყებით სწავლის მიღებაში.

კრებამ უნდა ამოირჩიოს საქმეების გამგებელი კომიტეტი და საზოგადოთ უნდა მოილაპარაკოს თავის მოქალაქ მოქმედებაზედ.

დიდი და პატიოსანი მოვალეობა იკისრა ამ საზოგადოებამ, და იმედი გვაქვს; რომ იმის წევრნი ისე გულ-ავარდნით არ წაიყვანენ თავის საქმეს, როგორც სხვა ამ გვარ საზოგადოებათა საქმე მიდის ხოლმე ჩვენში ხშირად.

ჩვენ მხოლოთ ამას ვიტყვით, რომ იმედია, ეს საზოგადოება თავის განზრახვის სისრულეში მოყვანის დროს არ დაივიწყებს პედაგოგიის ყველასაგან დამტკიცებულს და ცხადს ჭეშმარიტებას—რომ პირველ-დაწყებითი სწავლა მაინც ყოველყმაწვილა თავის სამშობლო ენაზე უნდა ეძლეოდეს...

*** სოლოლაკის რამდენსამე ქუჩაზე უკვე გაიყვანეს გაზის გასატარებელი მილები. ახლა გაზით განათებისათვის ცალკე ფანრებს დგმენ სვეტებზე. ამბობენ, რომ ამ რამდენიმე კვირის განმავალობაში თვითონ გაზით განათებულ რამდენიმე ქუჩის ნახვასაც ველირსებითო.

*** გასულ ხუთშაბათს, 27 აპრილს, სომხის სკენის მოყვარეთა თფილისის

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲛᲐᲡᲚᲐᲐᲗᲘ

გასული კვირა.—ქალაქელის ჰაზრი კაცის მოკვლაზე.—მზადება სპარსეთის შაჰის დასახვედრად.—ბრილიანტების გამოფენა თფილისში.—უფ. ბ. მ. მირზოევი და გაზეთი „Обзоръ"

ეა კვირა ქურდობის, ავაზაკობის, წაცარცვ-წატაცვის, კარების ჩამტვრევის, გოგოების მოტაცვის კვირა იყო!

ღილას ისე ვერ ადგებოდით, ერთი რომელიმე „შემთხვევა" არ გაგეგონათ ან თქვენის ბიჭისა და გამდლისაგან, ან თქვენი ნაცნობის, გამველელ-გამომველელისაგან! წუხელი სამი ავაზაკი დაეცა ქუჩაში ამა-და-ამ კაცს და „ნება-ყოფლობით" გაცარცვესო! ბუშინ ათი კაცი ამა-და-ამ პატიოსან ოჯახისშვილის დაეცა, ესა-და-ეს დასჭრეს, ეს მოიტაცეს, ის წაიღეს და წავიდნენო! ღეს ღილით ოც-და-ხუთი ცხენოსანი, დაიარაღებული ავაზაკი დაესხნენ იმ „მშვიდობიან მოქალაქეს" თავსა და თვითონაც დასჭრეს და შინ რაც გააჩნდათ კარგი და ავი, ძვირფასი და იაფ-ფასისა სულ წაიღესო! აქ სახლი გაამტვრიეს, იქ გოგო მოიტაცესო! და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, მთელი გასული კვირის განმავალობაში ჩვენი ქალაქის მშვიდობიან მოქალაქეთა მუდამ ღღე ამისთანა საშინელი და არა-მარტო სუსტნერვებიანი კაცისათვის შესაძრწუნებელი ამბები ესმოდათ.

და რად გაგიკვირდებათ, რომ ეს მშვიდობიანი მოქალაქე ცოტა არ იყოს დაფრთხა. საღამოს რვა საათიდამ გარეთ ველარ გამოდის, კარებს ჰკეტავს მაგრა, ძალიან მაგრა; მდივანი, სტოლები, შეშა, ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა, კარებზე მიაწყო, რომ იქნება ის წყეულები ველარ შემოვიდნენო; მაგრამ მოსვენებით მაინც არ სძინავს. თაგვის გაჩუჩუნებაზედაც კი წამოხტება ის გიჟივით ლოგინიდამ:

— არ-იქნა, მიშველეთ, დაკვეცნენ! მაგრამ „დედაკაცი" ამშვიდებს იმას, არა არის-რა, ნუ გეშინიან, თაგვმა გაიჩუჩუნაო.

— უნდა ხვალვე თაგვები ამოვსწყვეტოთო! წამოიძახებს დამშვიდებული მოქალაქე, გადაბრუნდება მეორე გვერდზე და ცოტა ხნით, სანამ კიდევ მეორეჯერ არ გაიჩუჩუნებს ეს ოხერი თაგვი, დაიძინებს; მაგრამ ვაი ამისთანა ძილსა და მოსვენებას.

— დაანებე, ბაღდასარ ქარაპეტიჩ, ავაზაკებს ფულები და შენ მაინც ხელს აღარ გახლებენ. უთხრა ამ ღღეებში ერთმა ჩემმა ნაცნობმა თავის ნაცნობ მოქალაქეს.

— ძნელია, ძმაო-ჯან; ძალიან ძნელიან! ეაცს თავის სიცოცხლეში გიშრომია, ცხარე ოფლი დაგიღვრია, სად არ თრეულხარ, რა ოინები არ გიხმარია, ბოლოს რაღაც ოხერი, დაგაჭერს გულზე ხანჯალს და გეუბნება: ძითხარი, სადა გაქვს ფული, თორემ ეს-

საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს უფ. ბ. სუნდუკიანცისაგან მოლლიერიდგან გადმოკეთებული კომედია „ჟორჟ დანდენ.“ როძელსაც — გადმომკეთებელმა სომხური სახელი დაარქვა „დანდან ბეო.“

პიესა კარგად, ცოცხალად ითამაშეს, თუმცა ზოგიერთ ალაგებში მოთამაშეებს როლის გაუგებლობა და უცოდინარობაც ეტყობოდა.

თეატრი სავსე იყო მაყურებლებით. შემოსავალი, როგორც გვითხრეს, 400 მანეთზე მეტი, დანიშნული იყო სომხის ნიჭიერ აქტიორის უფ. ამერიკიანის სასარგებლოდ.

*** ბაზეთს „კავკაზში“ იწერებიან არზრუმიდამ, რომ ამ ქამად იქ 9,000 ოვათმყოფი წევსო.

*** ამავე გაზეთის სიტყვით, სპარსეთის შაჰს მოსელას უნდა მოველოდეთ მომავალ სამშაბათს, მაისის 2-ს, ნაშუადღევის 2 საათზე.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართული სცენის მოყვარენი მოხეალ კვირაში კიდევ ერთის წარმოდგენის გამართვას აპირებენ. ამბობენ, რომ წარმოადგენენ ანტონოვის კომედიას „ბანა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ და ილია ჭავჭავაძის მიროვოი პოსრედნიკის სცენებს.

*** ოლპირიდამ გვწერენ, რომ ამუკანასკნელ ხანებში აქ საიდამღაც გამრავლდა საშინელად ძალლებიო; სულ ხროვა-ხროვად დაიარებიან ქუჩებშიო და იმათგან არც ღეე და არც ღამე მოსვენება არა გვაქვსო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორი, 20 აპრილს. წუხელის, ღამის პირველს საათზედ, გაუჩნდა ცეცხლი მირაეოი პოსრედნიკის თ. ივანე ელიზბარის ძის ერისთავის სახლებსა და იქამდისინ გაძლიერდა, რომ ამისთანა დიდი შენობა ერთ საათში გადიწვა; ცარიელი კედლები გადარჩა, ისიც მინგრეულ-მონგრეული. სახლის ავეჯულობა, მეგელი, ტანისამოსი თუ ნივთეული ძალიან ცოტა გადაანარჩუნა ხალხმა, მომეტებული ნაწილი დაილახა.

ზარალი რომ ეიანგარიშოთ, ორი ათასი თუმანი იქმნება. მაგრამ ეს ზარალი სახსენებელი აღარ არის, რომ თითონ ამდენმა სულმა ხალხმა თავი გადაირჩინეს, რადგანაც ახლათ ჩაძინებულები ყოფილან და საშინელი ქარიც ქრიდა.

მეზობლებმა რამდენიმემ სახლები დასცალეს, მაგრამ ზარალი არა მოსვლიათარა, რადგანაც ქვენა ქარი იყო და იმ ქარს ცეცხლი მეიდნისაკენ შიჰქონდა; თუ ზენა ქარი ყოფილიყო, აღვილათ შეიძლებოდა ნახევარი ბორი გადამწვარიყო და დახურული ბაზარიც სულ ერთიან.

ვიდრე ბლომათ ხალხი შეიკრიფებოდა, თავ-გაწირულნი ტრიალებდნენ ცეცხლში და გამოჰქონდათ სახლიდამ ავეჯულობა პრისტავის თანაშემწეთ ტ—ვს და ბ. ტ.—ა—ვს, აგრეთვე უფ. ა. თ.—ვს და რამდენიმე ხელოსანს ხალხსა. ბორის რკინის გზის სტანციიდამ ცეცხლის საქრობი მაშინაც მოატანინეს და ძალიან უშველ.

როგორც ამბობენ, ეს სახლი თ. ი. ერისთავს „საზღვეველს საზოგადოებში“ არ ქონია შეტანილი.

გასაკვირველია, რათ გაუჭირდა ბორის უპრავას ერთი ცეცხლის გასაქრობელი მაშინის ყიდვა! თუმცა დიდი ქარი იყო, მაგრამ ცეცხლის გასაქრობი მაშინა რომ თავის დროს მიეტანათ, ეს სახლები არ დაიწოდა. წარსულ წელიწადში რომ ზუბიევის სახლები დაიწვა, მაშინაც სწერდა ჩვენი გორელი კორრესპოდენტი, რომ ამ მაშინას სულ 400 მანეთი ფული ეყოფაო, დავიბაროთო; მაგრამ ვინ ათხოვა იმის ლაპარაკს ყური? ბორისთვის რომ სასარგებლო რამ სთქვას კაცმა, აქაურები იმას ზომ არ უგდებენ ყურსა: რამდენათ საეჭვოანია, იმის ლაპარაკი, ისინი მაშინვე ძებნას დაიწყებენ: ეს ვის დაუწერია, ფლანი და ფლანი დასწერდაო,—და ამითი გათავდება.

თუ ჩვენმა უპრავამ წარსული წლისთვის ვერ შოახერხა ამ უბრალო ფულის დახარჯვა ვთქვათ იმისათვის, რომ შარშან ფული არა ჰქონდათ, წრეულ ხომ ამას ველარ იტყვიან, ფული არა გვაქვსო! თქვენი ჭერის სანაცვლო იყოს დღეს ამ ბერისთავის ამოდენა ზარალი, თუმცა ამისათვისაც საგრძნობელი არის, მაგრამ ეს კიდევ სხვა სახლებს აიშენებს, ევროპიულათაცა გაიმართება; ეხლა რომ იმისთანა ღარიბს დაეწვას სახლი, ვისაც იმ ჭერის მეტი არა აქვს, აბა იმან რა უნდა ქნას?

ამას ვთხოულობთ: უშოვეთ ქალაქს ქალაქის ფულით ცეცხლის გასაქრობი მაშინა და თუ მართლა გასაჭირია, აქ მცხოვრებნი დიდი და პატარა მზათ არიან თავ-ს შეძლების-და-გვარათ ფული შეჰკრიფონ და ამით იყიდონ...

ბორელი

ახალ-სენაკი, 22 აპრილს.

ძველი-სენაკის სასოფლო სასწავლებელის საქმე ერთობ ცუდათ მიდის. პირველად ოცზედ მეტი შაგირდი იყო ამ შკოლაში; მოგეხსენებათ, რომ მეგრელებს დიდი სურვილი აქვთ სწავლისა და ცოტაოდენი მაინც წერა-კითხვისა და ანგარიშის ცოდნა ყველა მამას, რაც უნდა ღარიბი იყოს, ჰსურს მიანიჭოს თავის შვილებს. მაგრამ ეს ჩვენი შკოლა კი ახლა თან-და-თან ცარიელდება, 10—12 შაგირდის მეტი აღარ დაიარება.

მიზეზი უბრალოა: მასწავლებელი არა ვარგა; მშობლები ხედვენ, რომ ოსტატი არაფერს ასწავლის იმათ შვილებს და ისევ გამოჰყავთ.

ამას გარდა ამ ჩვენ მასწავლებელს

არის მოგკალიო! აბა ეს სადაური კანონია! როგორ დავემორჩილო-და?

— მეტი გზა რომ არ არი?

— ბანა ის მწყინს, რომ ჩემგან მიაქვს? არა, თქვენმა მზემ: მწყინს ის, რომ რად მიაქვს, როცა იმის შეძენისათვის შრომას არ ეწევა! აი ეს მაწუხებს, მეტი არაფერი...

—

რისგან არის, რომ ამ უკანასკნელ კვირეებში ასე გახშირდა ცუდ-კაცობა?

ერთმა ჩემმა მეგობარმა ეს გარემოება ასე ამიხსნა:

ბაზაფხული არისო, ყველაფერი ჰყვავისო, ადამიანს სისხლი უჩუხჩუჩებს, ძოქმედების, საქმის ჟინი აწუხებსო და სხვა საქმეს რომ ვერაფერს პოულობს, ამ ჩინებულ, მთვარიან, თბილ ღამეში გამოდის გარეთ და თავის „მოქმედების ჟინისა“ და აჩუხჩუხებული სისხლის დასამშვიდებელად კარებს ამტვრევს და ხანჯალს იქნევს მარჯვენივ და მარცხნივ!

ეს თუ ასეა, მაშ ზამთრობით რაღათ რის ხოლმე ჩვენში ამგვარადვე გახშირებული ქურდობა და ავაზაკობა?

ზამთარშიაც სიცივე და შიმშილი აბროგიალებს ხალხსაო! მეტყვით.

მაგრამ ამგვარი განმარტება მე მოგონებს რუსის განმარტებას იმისა— თუ რად სვამს ის მუდამ არაყს: როცა დარდიანი ვარ, მაშინ იმიტომ ვსვამო, რომ დარდები განვიქარეოვო, და როცა მხიარული ვარ, მაშინ კიდევ მიხარიან და იმიტომაო...

—

თუ ეს უკანასკნელი მოსაზრება მართალია, ჩვენს ქალაქში მცხოვრები სპარსელები ახლა დიდიდამ საღამომდინ მთვრალები უნდა ეყარნენ, რადგან ახლა ისინი ძალიან გახარებულები და ბედნიერნი არიან.

შაჰი მოუდისთ იმათ. ერთ ფაცაფუცში, ერთ ამბავში არიან.

მაგრამ, არათუ მარტო ჩვენი ქალაქის სპარსელები, მთელი ქალაქიც დიდ მზადებაშია: სასახლის ქუჩაზე ორივ მხრით ტრიუმფის არკები გააკეთეს ყვავილებითა, ყველა მაღაზიების წინ თითო სვეტია დარჭობილი ფანრებითა და ყვავილებით შესამკობად იმ დროს, როცა მისი დიდებულება გამოიკლის, სასახლის პირ-და-პირ ძლიერებისა და ბრწყინვალების წარმომადგენელი გერბია სპარსეთისა, ე. ი. ლომი და მზე; ქუჩებს ასუფთავებენ, სახლის კედლებს ლესვენ, ფანრების მინებს სწმენდენ...

„კავკაზის“ სასტუმროს პატრონი ფრანცუზი მარტენი 25 ოთახს ამზადებს შაჰის ამალისათვის (სვიტისთვის); ლულაქაბაბისა და ფლავის გასაკეთებელი ყველა მოწყობილება დაამზადა თავის სამზარეულოში; მადამ ტოლლესა და საზოგადოთ ყველა მოდის მაღაზიებს დღედა-ღამ მოსვენება აღარა აქვთ, იმდენი ხაქმე აუჩინეს ჩვენმა ქალებმა..

თუ პარიჟში მსოფლიო გამოფენა არის ამჟამად, ჩვენშიაც მალე პატარა გამოფენა იქნება—გამოფენა თვალ-მარგალიტისა და ბრილიანტებისა.. ჯერ-ჯერობით მარტო „რეპეტიცია“ აქვთ თეფლისის ქალებს... ამ დღეებში თეატრში ვიყავი და, მართალი გითხრათ, თვალე-

მკოლაშიაც კი კომერციული ანგარიშები გაუმართავს: სახელმწიფო ხარჯით და თუ თავის ხარჯით დაბარებულ წიგნებს თითქმის ერთი სამად ჰყიდის. ერთმა შაგირდმა მათხრა მე ამას წინათ, რომ „ დედა ენა“ ჩვენმა „ფიტელმა„ სამ აბაზ ნახევრად მოგვყიდა! მოგეხსენებად, რომ თითო ეგზემპლიარი „ დედა ენისა“ ყველგან ექვს შაურად იყიდება და ვინც 30 ეგზემპლიარზე მეტს დაიბადებს, იმას თითო წიგნი ხუთ შაურად დაუჯდება.

ოსმის ამბები

ოსმისთვის მზადება

ბათუმის, შუმლისა და ვარნის დათმობის შესახებ ფრანცუზულს გაზეთს „Indép. Belge“-ში იწერებიან:

„აპრილის 14-ს რუსის ღენერალმა ციმერმანმა გაუგზავნა ვარნაში ყაიზარლი-ფაშას პარლამენტიორი და მოსთხოვა რომ ეს ციხე-ქალაქი დაეთმო რუსეთისათვის; ამგვარივე მოთხოვნილება გაუგზავნა ღენ. ვანოვსკიმ შუმლის ჯარების უფროსს ფაზლი-ფაშას. ორივემ ერთი და იგივე პასუხი შემოსთვალეს, რომ სტამბოლიდამ ჯერ არავითარი ბრძანება არ მოგვსვლია და ამის გამო ჯარებს ამ ქალაქებიდამ ვერ გავიყვანთო.

„რაიცა შეეხება ბათუმს, თვითონ ოსმალეთის მთავრობა მზათ არის, დაუთმოს ეს ნავსადგური რუსეთს, მაგრამ მცხოვრებლები არ თანხმდებიან. ოსმალებს ჰყავთ ბათუმში და ციხის-ძირში 24 ბატალიონი ჯარი და 60-ზე მეტი ზარბაზანი; არზრუმსა და ტრაპიზონს შუა 15 ბატალიონი და მუშსა და არზრუმს შუა 45 ბატალიონი.

„რაღა თქმა უნდა, რომ ოსმალები განგებ აჯანჯლებენ საქმესა; იმათ იმედი აქვთ, რომ დღეს-ხვალ რუსეთსა და ინგლისს შუა ომი დაიწყებაო და ამ ციხეებით ვისარგებლებთ ან ჩვენი მომხრე ინგლისელები ისარგებლებენო.“

—

ლონდონის გაზეთი „Times“ გვაცნობებს, ინგლისის მთავრობას გადაწყვეტილი აქვსო, რომ, თუ რუსეთმა მოინდომა ბესსარაბიის ჩამორთმევა რუმინიისაგან, ეს გარემოება უეჭველად ომის ასატეხ მიზეზად იკმარებს რუსეთსა და ინგლისს შუაო.

—

გაზეთს „Tagblatt“-ში იწერებიან ადრიანოპოლიდამ:

„ბალკანის სამხრეთით აჯანყებული მაჰმადიანების რიცხვმა ამჟამად 60,000-მდინ აიწია. განდგომილები დივიზიებად არიან გაყოფილნი, თითო დივიზიას ჰყავს სარდლად ამორჩეული თითო ფაშა, რომელთანაც იმყოფება ინგლისის აფიცერი. ჩინებული თოფ-იარაღი, ბევრი ტყია წამალი აქვთ, საკმაო სასმელ-საჭმელი.

„დარწმუნებით ამბობენ, რომ ეს აჯანყება სულ ინგლისის საქმე არისო. განზრახვა ამათი ის არისო, რომ რუმელიაში მყოფ რუსის არმიას უკან—ბალკანისაკენ დაბრუნებისა და დუნაისკენ გზა შეუკრანო.

—

ერთს ვენის გაზეთში იწერებიან, ვითომც ავსტრიის მმართებლობას ბოსნიის სამზღვარზე დამზადებული ჰყავს ჯერ-ჯერობით 25,000 კაცი იმ განზრახვით, რომ როგორც რუსეთსა და ინგლისს შუა ომი დაიწყობა, ეს პრავინცია და ჰერცოგოვინა იმწამსვე დაიჭიროს თავის ჯარებით.

—

„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტო“ გვაცნობებდა ამას წინათ, რომ ოსმალეთის მთავრობამ თხუმეტი ხომალდი მზათა ჰყავს შავს ზღვაში და ბათუმიდამ და ციხის-ძირიდამ ამ დღეებში უნდა გადაიყვანონ სტამბოლში ჯარებიო.

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან ამ ჟამად, რომ ოსმალეთი სულაც არ ჰფიქრობს ჯერ-ჯერობით ასე ადვილად ციხის-ძირიდამ და განსაკუთრებით ბათუმიდამ თავის ჯარების გაყვანას და ამ ადგილების რუსებითვის დათმობასაო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია პარიჟიდამ 20 აპრილს მიღებული დეპეშა, რომელშიაც პარიჟის მსოფლიო ბამოფენის გახსნა ასე არის აწერილი:

„ბუშინ დილის 10 საათზე გაიხსნა აქ მსოფლიო ბამოფენა. უველაზე პირველად წირმოყბისა და ვაჭრობის მინისტრმა ტეისერენ-დე-ბორმა წარმოსთქვა სიტყვა. ამ მსოფლიო ბამოფენა ჰაზრი დაბადა საფრანგეთში მას შემდეგო, სთქვა მინისტრმა, რაც რესპუბლიკა დამკვიდრდაო. რესპუბლიკის მმართებლობამ ამ ბამოფენის გამართვით დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ეს მმართებლობა მკვიდრ საფუძველზედ არის დამყარებული, რომ ეს მმართებლობა წინ წამწევია, გამოცხოველებული ხალხის ცხოვრებისა და წარმოება-ვაჭრობისა.

„შემდეგ მინისტრმა გამოუცხადა მადლობა უცხო ქვეყნებს, რომელნიც თავის მონაწილეობითა და თანაგრძნობით დეხმარენ გამოფენას. „ეს გარემოება, ეს უცხო ქვეყნების მონაწილეობის მიღება ჩვენს ბამოფენაში გვიმტკიცებსო, სთქვა მინისტრმა, რომ ყველა დანდობით და კარგის თვალით უყურებენ ჩვენს ახალგაზდა, მაგრამ ძლიერ რესპუბლიკასა.“

„ტეისერენ-დე-ბორის შემდეგ რესპუბ-

ბი ამიჭრელდა, იმდენი ბრწყინვალე და მოკიაფე თავსაკრავები, გულები, ხელისთითები და შავი თმები ენახე. უველგან ალმასი, ბრილიანტი, ყველგან ფირუზი, იაგუნდი, ზურმუხტი...

რაღა თქმა უნდა, შაჰისთვის ემზადებიან. მაგრამ სპარსეთის შაჰ ამით ვერ გააკვირვებენ: მოგეხსენებათ, რომ იმას პირ-და-პირ ყოველ სიმდიდრის წყაროდამ—ინდოეთიდამ აქვს მიღებული ყველა თვალ-მარგალიტი...

—

— რად ვეფერებით ჩვენ ასე გულმოდგინეთ ახლა სპარსეთის შაჰს? რატომ ამისთანა ამბით უხვდებით?

. . . . . .

—

გაზეთს „ობზორში“ იყო ამას წინათ დაბეჭდილი შენიშვნა, რომ უფ. მირზოევი წყლის ძალით აპირებს თავის ქარხნის მაშინების დატრიალებასაო და ამიტომ მტკვარში კედელი გაჰყავს, თითქმის დაანახვერა მდინარეო, შეავიწროეაო.

ეს შენიშნა ალბათ წაუკითხავს უფ. მირზოევს და დასამტკიცებლად იმისა, რომ მკვდარი არ შეუვიწროებია იმას, დაუპატიჟნია „ობზორის“ წარმომადგენელი, აუხსნია იმისთვის ყველა გარემოება და გაუმართლებია თავი. ეს თავის-გამართლებაც „ობზორში“ არის დაბეჭდელი.

იქაში, სხვათა შორის, შემდეგი ალაგია მოყვანილი:

„იმის დასამტკიცებელად, რომ ამ საქმეში უფ. მირზოევს მარტო თავის კერძო მოგება არა აქვს საბუში (?), იმან მოიყვანა შემდეგი მაგალითი: ბასულ ზამთარში მე მქონდაო, სთქვა უფ. მირზოევმა, დამზადებული იაფად ნაყიდი შეშა. როდესაც ქალაქში თითო ოთხ-კუთხი საჟენი შეშა 70—120 (?) მანეთად იყიდებოდა, მე შემეძლო გამეყიდნა მაშინ ეს შეშა (სულ 1,500 საჟენი მქონდაო) და 120,000 მანეთზე მომეტებულს მოვიგებდიო (?).

„მაგრამ მე არ მინდოდაო, რომ 500 მუშა, რომელიც ჩემს ფაბრიკაზე მუშაობს, და ჰპოულობს დღიურს საზრდოს, ულუკმა-პუროთ დამეგდო და ამიტომ არ ჩავიდინე ეს, არ ვავყიდე შეშაო და არ გავაჩერე ფაბრიკაო (?!).“

როგორ მოგწონთ, მკითხველნო, ამგვარი გულ-მტკივნეულობა რვა მილიონის პატრონის უფ. მირზოევისა? როგორ მოგწონთ, ეს საწყლების შებრალება, რომელთაც ის ლუკმა-პურს აძლევს, რომელთათვის მხოლოთ ამუშაევს თავის ფაბრიკას, რომელთა გულისათვის იმან ტყუილ-უბრალოთ 120,000 მანეთი ნაღდი მოგება გაუშვა ხელიდამ? საწყალი მირზოევი, სულ მუშებისთვის ცდილობს, ეს ფაბრიკა მხოლოთ იმიტომ გამართა, რომ 500 მუშას „დღიური საზრდო“ აღმოუჩინოს! თავის სარგებლობა სრულებით მხედველობაშიაც რა ჰქონია, სულ მუშებისთვის, სულ მუშებისთვის!

როგორ მოგწონთ, რომ გაზეთი „ობზორი“ ბრძნული ორგანი, რომელიც ინტელიგენციისათვის, საზოგადოების მოწინავე პირებისთვის გამოდის, რომ ეს გაზეთი ბრძნულად, დაუცინებელათ ჰბეჭდავს ამგვარ სიტყვებს?!....

სოლოლაკელი.

ლიკის პრეზიდენტმა მარშალ მაკ-მაჰონმა წარმოსთქვა რამდენიმე სიტყვა; იმანაც თავის მხრით დაუმადლა უცხო ქვეყნებს ბამოფენაში მონაწილეობისათვის და ბოლოს რესპუბლიკის სახელობით გამოაცხადა, რომ „ბამოფენა გახსნილიაო.“

ნაშუადღევის 5 საათზე ბამოფენა ხალხისათვის გაულიათ, მაგრა ამ დღეს საშინელი წვიმა ყოფილა.

ნაციონალური პრების გადაწყვეტილებით, მუშა და საზოგადოთ ღარიბ ხალხს კვირაობით უფულოთ უშვებენ ბამოფენის დასახედავათ; სხვა დღეებში კი გადასახადია დანიშნული.

ოსმალეთი

სტამბოლის ხალხი ძალიან აღელვებული არისო, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან. ბანსაკუთრებით ბევრი მტერი აღმოჩენია ახლანდელ ხონთქარს ბამიდს, რომელსაც ყველაზე უფრო თურმე იმიტომ არ ემადლიერებიან, რომ იმას რუსების მხარე უჭირავსო. ერთი ჰარიჟული გაზეთის სტამბოლელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ თითქმის მუდამ ღამე გროვდება ხალხი მეჩითებში, ულემები და სოფტები ჰქადაგობენო, რომ გადავაყენოთ ახლანდელი სულთანი, ყველა ჩვენი უბედურება იმის სისუსტისა და უჭკუობისაგან წარმოსდგაო, ისევ ძველი ხონთქარი მურადი ავიყვანოთ ტახტზე, რადგან ის ახლა სრულიად განთავისუფლდა ავათმყოფობისგანაო და სხვ.

ხსენებული კორრესპონდენტის სიტყვით, ხალხი დარწმუნებულია რომ მითხად-ფაშა ყველა გაჭირებისაგან გამოიყვანს ოსმალეთს. ამას გარდა ძალიან პატივს სცემენ აგრეთვე ოსმან-ფაშასა და მუხთარსაც; ასე რომ ამჟამად ყველაფერი ამ უკანასკნელ ორ კაცზედ არის დამოკიდებული.

„მაგრამ მე დამარწმუნეს, რომ ოსმან-ფაშა სრულებით ისეთი მომხრე არ არის რუსეთთან მშვიდობიანად საქმის წაყვანისა, როგორც ადრე ამბობდნენ,— პირ-იქით ამბობენ, რომ იმას ძალიან ჰსძულს რუსეთი და, თუ კი დრო უნახა, რაღა თქმა უნდა, ეცდება გადაუხადოს თავის დამარცხება; ამისთვის ის დიდის სიამოვნებით მიემხრობა ინგლისს.

ბანცხადებანი

ყმაწვილ კაცს

ზედმიწევნით მცოდნეს ფრანცუზულის ენისას ჰსურს აძლიოს ამ ენის პრაქტიული და თეორიული ბაკვეთილები. თუ საჭირო იქნება თანახმაა სოფელში ან სადმე სხვა ქალაქში წაჰყვეს მსურველს, ანუ თვით ქალაქში დადგეს ოჯახში. ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

(5—2)

ვისაც ჰსურს იყიდოს ხმელი საშენებელი ტყე, ფიჭვისა და ნაძვის, ფიცრები, სამი და ოთხი წლის განახერხი, შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბუჭყიევის სადგომში, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ რიგ-რიგზე შეუსრულებთ ყველას, ვინც შეგვიკვეთს. ფიცრების გამოტანა ამ წლის 1 მაისიდამ დაიწყება

ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ვასილი აბაშიძისა

ისყიდება: თფილისში—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ტყავის ქარხანა თფილისში

დამოკნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდა-პირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეჭირებათ, რომ ამ ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი ფალეგისთვის, უნაგირისა, კარეტის და ფაეტონებისა, ჩექმებისა ლანჩა და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტორაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვეთოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღაზიაში, სიონის პირ-და-პირ.

(25—16)

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ, იმის თანადასწრებით, ამ 10 მაისს იქნება მხოლოთ ერთხელ ვაჭრობა ქალაქის 1300 ფანრის ნავთით განათებისა იჯარით მიცემაზედ.

მსურველს შეუძლია პირადათ განაცხადოს ქალაქის ბამგეობაში თავის პირობები (ფასები) ვაჭრობის დროს; შეიძლება აგრეთვე დაბეჭდილი კანვერტით წარდგენა თავის პირობებისა.

ქალაქის ბამგეობისაგან შედგენილი კონდიციები (პირობა) მსურველს შეუძლიან ნახოს უპრავაში მუდამ დღეს უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მკაჟეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია.	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა

თფილისი, 29 აპრილს

	მან	კაპ
ფქვ. თ,თ. ბანჯგისა, ფუთ.	2	—
ფქვილი წითელი . .	1	70
ქერი ფუთი . . .	1	50
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
— ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	11	—
მატყლი თუშური ფუთ.	7	50
—თარაქამისა ფუთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	—
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	13	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	99
—ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	40
—ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა ბრაზილი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე,		
კვირას გარდა, დილის 8—10 მდინ.		
ორშაბათს: მინკეევიჩი—ხირურგი, ლისიცევი—შინაგ. ავათმყ.	2	—
სამშაბათს: ვერმიშევი და მარქაროვი—შინაგ. ავათმყოფობის, თამამშევი—თვალის.	1	70
ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიულის.	1	50
ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.	7	50
პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგ. ავათმყოფ. და მინკეევიჩი—ხირურგ.	8	50
შაბათს: ვერმიშევი და მარქაროვი—შინაგანი ავათმყოფობის., ქიუ-	11	—
ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფ. და თამამშევი—თვალის.	7	50
	4	50
	2	—
	6	—
	8	—
	13	20
	—	99
	—	90
	5	20
	8	40
	6	40
	—	70
	12	—
	8	50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Апрѣля 1878 г. Типографія Меликова. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.